როე ჰიუგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



უცნობი ავტორი

...

...და ისევ წვიმა
ნაკვაალევს წაშლის...
ცრემლით მოიბანს
გულ-მკერდს რუსთველი,-
შვილების სისხლით
გამჯდარი მიწა,
გზა-საღოცავი
ჩვენი, უცვლელი...
...აპრილის ღამეს
ისევ მოჰყვება
სიცოცხლით სავსე
მაისის დილა...
ამ დროს ხომ ჩვენში
შხაპუნა იცის
და დამწვარ სულშიც
ისევე გრილა...
...წვიმა კი ჩვეულ
გულმოდგინებით,
კვლავ გადარეცხავს
წყეულ ნაკვალევს,
მაგრამ ვერარა
წაშლის იმ წუთებს,
ნიჩბით და შხამით
აქ რომ გაკვალეს!

როცა გემები ოკეანეში შეცურდებიან,
კაიუტები ნაპირებით
ივსება ხოლმე,
როცა ტუჩები გამარჯვების სიტყვებით ჰქუხან,
გულები მაშინ მწუხარების ბუჩქებიდან
ტვავილებს კრეფენ
დაღუპულთათვის.
ჰო, თქვენ შეცურდით ხალხით სავსე ოკეანეში,
სულები კი აივსო მიწით...
ო, ვის ეტრება
ხელის გულით ნაფხვენი თიხა...
ივსება ორმო,
სასაფლაო ივსება ხორბლით,
ფანჯრებიდან იღვრება ცრემლი,
დახრილა დროშა...
ეშა, დღეებმაც იციან ხოლმე
მარადი ქროლვა
და მუშტებს თქვენით
უმსუბუქესი სიკვდილი მიაქვთ.
ჩვენ ვიჩოქებთ,
რათა ავმაღლდეთ...
სამშაროს ეღვას უერთდება
კვნესა თბილისის.
სიონი ანთებს უამრავ სანთელს
და ვთბებით თქვენგან
ნაჩუქარ
ჭ ი ნ ვ ი თ !

ჩიტები ისევ ჭიკჭიკებენ.
ერო გადის მშვიდად.
აქ არც შეცვლილა არაფერი,
თითქოს, მშვიდობით!
ბავშვობაშიც კი არ მიმაჩნდა
სახელი დიდად,
და, მითუმეტეს, ახლა, ღიღობით...
ცა დაიღალა. მოთმინება გადატყდა ტოტზე.
სხვა ყველგან სხვაა -
ხვედრით, შური, ხვეწნა-ყველრებით.
შესხმია აპრილს უფოფველი უმანკოება -
ყაყაჩოები - დაცვარული ქრისტეს ცრემლები...
რაღა გახარებს გაგაფხულო, საქართველოში...
ვინც მაცილის ცელს ცეკვა-მღერა-ტაშით ეგება!
მოგისმენიან, როგორ სტირის მთვარე გამმახებს,
ან როგორ აწვიმს გრილ ენძელებს სისხლი შხეფებად...
ნულარ ეხებით დედის ცრემლით მონამუღ ვენებს.
როგორ მიყვარდი აპრილო და,
თავს რად მაგარებ...
თვით ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი გლოვად დახრილა,
თვითონ საფანას სიგრძალული შეაგანგარებს...
მაგრამ ახლა აქ,
მიხაკებიც მოწამღეულია
და აი, თითქოს,
სანუგეშოც, არაფერია...
შენ - ქრისტეს კვარო,
მარიამის მგზიერო ბავშვო -
მამულო ჩემო
შენს მომავალს ჯვარი სწერია!..

ოთარ ჭილაძე

ეს ბოლო ნაწილი

ღვთიშობლის წილხვედრს

ხმირად გიპყრობდნენ ძალით, ლაღატით,
მაგრამ ვერ გსპობდნენ ღვთიშობლის წილხვედრს!
ცეცხლით გებრძოდა რუსიც, არაბიც,
შენს უკვდავების მიზეზს ვერ მიხვდნენ!
მწუხრით რეკავდნენ ედემ ბარები,
არ გელეოდა მტერი ფერაგი.
ბოგჯერ ქონგურზე იდგნენ ქალებიც,
ხელში ჩვილით და ჯაჭვის პერანგით...
მესალამურე კვდებოდა ბიჭი,
მაგრამ სალამურს რჩებოდა სული
და მრავლდებოდა ქარიული ნიჭი,
მყინვარწვერიდან ფესვებგასული...
ბოლო დაპყრობა იყო თებერვლის
25 რიცხვში ძალით, ლაღატით
და გდარაჯობდა მერე ცერბერი,
წითელი დროშით, ხაკის ხალათით.
დღეს ჯაჭვებს წყვეტავ, ვით ამირანი,
დაბადებიდან თავისუფალი.
ეხლობა შენი ყველა ტირანი,
ჩვენთან იყო და არის უფალი!

კარგო ბებიებო- თინა და ზაირა,
წასულნო უწყინრად, უხმოდ,
სადა ხართ ახლა ერთგულნო, კარგნო,
მინდა თქვენს ნაზ სულებს ვუხმო!

მინდა ჩაგაბაროთ ელისო, მზია,
თამარი, თამუნა, ნანა,
მანანა, მარინე, ნინო და ნატო,
აზა და მელქაძე მანანა.

განსაკუთრებით ბავშვებს გაუფრთხილდით:
თამრიკოს, ნათიას, ეკას,
ხომ იცით, სამივე თექვსმეტი წლისაა,
უღვთოდ დააშორეს დედას.

ბიჭებსაც მიგვიხედეთ: ნოდარს და მამუკას
და ქარსელაძე გიას,
ცოდოა, უძეოდ აღსრულდნენ ბიჭები
იმ საბედისწერო დიღას.

მე ვიცი- შუშანიკ, თამარ და ქეთევან
იქ გაგინათებენ შორეთს,
მერე პაატა და ლომგული ცოტნე
თქვენთან საამბოროდ მოვლენ.

ტანჯულ საქართველოს ტკბილო ბებიებო,
წასულნო სისხლიან დიღას,
გჯეროდეთ, აპრილში, ყოველ გაზაფხულზე
დაგიკრეფთ ენძელას, იას!

ეკატერინე

16 წლის ეკა ბეჟანიშვილს

გული სევდით რად ამივსე,
დარდი დარდს ველარ ეღევა,
მიუხვალ თინა წავკისელს,
დიდ თამარსა და ქეთევანს.
ასე ჰატარამ იგემე
გაგლაპრებ, გაღეგენდება,
მკვლელები რას გაიგებენ,
ვის როდის რა დამშვენდება.
წმინდა მოწამის გვირგვინით
ამერ-იმერის კაბადონს
შენ ისე ფადაურბინე,
როგორც შეშვების ქალბატონს.
ეკას გეძახდით და წმინდა
ეკატერინედ გაბრწყინდი,
დრო მოვა, ჰპოვებ მთაწმინდას,
ახლა არ გაგვინაწყენდე.
ეჯიცავ, რომ ხანძრად იფეთქებს
სისხლი შენს მიერ დაღვრილი,
ბორტი ვერ ძლევს სიკეთეს,
ვერც სისხლიანი აპრილი.

ბარბარა ასათიანი.
154-ე სშ. სკოლა.
VIII კლ.

უცნობი ავტორი

თბილისს შემორჩენი ამაკად
მაია წვნეთიდის გვარტომი,
მამულს შეგწირნე ზვიადაკად
თექვსმეტი ვარდობის ბატონი.

იმ ღამის ხმატკბილი გალობა
ტუჩებზე გატყვია დიმილად,
ღმერთი დაგიღოცავს ქალობას,
ქუსლით გასრესილო გვირილავ.

9 აპრილს

9 აპრილს როცა ვიგონებ
ბავშვების ცოდვით ვიწვიო
ნეგას ვინ მაძლევს კანონი
დუელში გამოვიწვიო
ბავშვების მკვლელებს ალარ გრძის
არცერთი კაპიტალისტი
კრემლმა გაგზარდა და გიცავთ
როგორც ნამდვილი ფაშისტი
ალარ მღერიან შავლეგოს
მაო მკერდში სისხლი ალარ ჩქეფს
ვინ ალარ იცის რომ ქალებს
ძალიც არა კბენს. არც უყეფს
ნუ რომკალავ ძმებო რუსებო
საწოლით ღმერთს ევედრებოდნენ
საწამლავს პირში აყრიდნენ
ნიჩბების ცემით კვდებოდნენ
ფეხ მძიმე ქალი სისხლს ღვრიდა
შვილი შვილიო კიოდა
თვითონ კვდებოდა შვილი კი
ძუძუს ეძებდა შიოდა
გარბაროსული თავდასხმა
რა მძიმე მოსაყოლია
შენსავით საშიში მტერი
ქართველ ხალხს ჯერ არ ყოლია
ნამდვილ ფაშკაცებს ვინ დათვლის
მაო მსხვილი არც კვდება
ერეკლე მეფე "აგაპტანს"
ხმალ ამოღებულს შეება
კრემლის სპეც ჯარის ნიჩბები
ბავშვების სისხლით პრიალებს
ქართველი ერის დროშებზე
შავი არშია ფრიალებს

ვედრება

ცრემლით და ტანჯვით გავიდა
მარტი... აპრილი... მაისი...
სადღაა ძველი კისკისი,
სადღაა ძველი ხალისი.
ამ უმწეობის ნაფდელმა
ტანივით ხელი დაბრია,
შენს წილხვედრ მხარეს მიხედე,
გვედრებ, ქალწულო მარიამ.
ხან აბეტუტდება იმედი,
ხან ბოლმის ტრეოლა ამიტანს,
შუბლს სიმწრის ოფლი გადასდის
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს.
სისხლით დამთვრალა კაენი,
ვერცხლს აჩხრიალებს იუდა,
გამბატონდა სტუმარი,
საოცრად გამხდიდგულდა.
"ქართველო, ხელი ხმალს იკარ"
ხანდისხან მომაგონდება
და ძილ-ღვიძილში ჩამესმის
მე ლეონტევის გოდება.
ქარიული დარდიმანდობით,
ქარიული უდარდელობით
კვნესის მამულის მთა-ველი
გაყიდულ-გაჩუქებული.

ღვთიშობლის ...

ავისუფალ შეხედულებათა საძმო "იასარი" აგროვებს მასალებს საქართველოში მომხდარ ყველა მტკივნეული ამბის გარშემო. გთხოვთ, გამოაგზავნოთ მასალები მისამართით: თბილისი. 380008ბ. მოკიბულაძე: ბადრი გიორგის ძე გუგუშვილი. მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ. გამოაგზავნეთ ლექსები, მოთხრობები, ლეგენდები, ჩანაწერები, სტატიები. მთა თანდათან დავბეჭდავთ "კაბადონში" ან აღმანახ "იასარში". პატივისცემით- საძმოს სამუშაო ჯგუფი.

მერაბ კოსტავა

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის I კონგრესზე წაკითხული სიტყვა
1989 წლის 17 ნოემბერი. სოფ. გალარჯევა.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია წარმოადგენს ეროვნული მოძრაობის ფრაგმენტს, ხოლო მისი პირველი კონგრესი მიმაჩნია ეროვნული მოძრაობის მაორგანიზებელ ძალად. ეროვნული მოძრაობა ბოლოს და ბოლოს უნდა გამოვიყვანოთ ემოციურობიდან, ქაოტიურობიდან და მივანიჭოთ ორგანიზებულობა, რათა მას წინ უძღოდეს გონი, განსჯა, ყოველივე ის სიკეთე რაც მოგვცა მამაზეციერმა. ჩვენ ვიცით, რომ დღეს საქართველოში რამდენი პარტია და ორგანიზაციაა, ისიც ვიცით, რომ ხშირად ეს ორგანიზაციები ანტაგონისტურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ერთმანეთის მიმართ, მაგრამ ვიცით ისიც, რომ წმინდა ილია მართლის საგოგადოებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ იქით, რომ ეს ანტაგონიზმი გაჩენილიყო, ღვარძელ ერთხელაც არ დაუთესიათ, რომ ეროვნული ძალები დაუპაპუნიყო. პარტიების და საგოგადოებების ასეთი რაოდენობა პლურალიზმის ნიშანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ისინი იქმნებოდნენ პირადი მოტივებიდან გამომდინარე. დაბეჯითებით ვიტყვი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სულიერი საფუძველი არის, ერთიანი დროშის ქვეშ დგომა. ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი, რომელმაც გააერთიანა ეროვნული ძალები, შეიქმნა 9 აპრილის შემდეგ, ეს კომიტეტი არ დაშლილა, კვლავ არსებობს, მისგან გავიდნენ ის წევრები, რომელთაც არ სურდათ ერთიანობა ეროვნული ძალებისა, არ უნდოდათ ამ ძალების წარმართვა ერთიანად. ისინი ვერ აცნობიერებენ, მაგრამ სწორედ ეს სურს კრემლს. კრემლს სურს, არა მარტო ეთნოკრიზისში დაიხარჯოს ძალები, არამედ პარტიათა შორის გრძოლაშიც. ჩვენ, დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის შთამომავლებმა, ისევე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც ისინი იბრძოდნენ- ყოველი ძალა, რაც კი საქართველოში არსებობს უნდა გავაერთიანოთ და მივმართოთ იმპერიის წინააღმდეგ. არავითარ გათიშულობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველა ის, ვინც თესავს ღვარძლს ქართველებს შორის, დაიგმობა. ამ ტრიბუნიდან მოვუწოდებ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასულებს- მოვიდნენ, ყველაფერს რაც იყო დავივიწყებთ, მივუტევებთ ნამოქმედარს, ძმურად მივიღებთ, ჩავიკრავთ გულში და მომავალში აღარც გავიხსენებთ წარსულს. ახლა საჭიროა ერთად დგომა. რაც შეეხება წმინდა ილია მართლის საგოგადოებასა და ეროვნული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთიანობას, ის განუყოფელი იქნება, მომავალშიც ისევე, როგორც დღემდე. მე ვუღიცავ ჩემს ძმას, უმცროს მეგობარს, ირაკლი ბერეთელს პარტიის მეთაურად არჩევას და დავსძენ, პარტიის ბედი საიმედო ხელშია. მჯერა, დემოკრატია, რაც ასე რიგად არის დამახასიათებელი თქვენი პარტიისთვის, არასდროს გაქრება. ურთიერთობა ჩვენს საგოგადოებასა და პარტიას შორის იქნება, როგორც უკვე გითხარით, ურყევი. ამას განაპირობებს ის გუნება და ხასიათი, რაც გააჩნია წმინდა ილია მართლის საგოგადოებასა და დამოუკიდებლობის პარტიას, ყველა იმ პირთ, ვინც ავსებს ამ ორ ორგანიზაციას. ჩვენ ერთად დავიწყეთ გრძოლა, ასევე განვაგრძობთ მომავალშიც. ძალა, რომელმაც შეიძლება გათიშოს ეს კავშირი, მე არ მესახება და არც შეიძლება არსებობდეს. ვინც გადის ჩვენგან, ჩვენი ორგანიზაციებიდან, გადის იმისთვის, რომ იღაპარაკოს საკუთარი სახელით, საკუთარი პარტიის სახელით და არა ეროვნული მოძრაობის სახელით. მე მიმაჩნია, ყველა არაფორმალური ორგანიზაცია რადიკალურია, ყოველ მათგანს აქვს გრძოლის ერთი გზა- მშვიდობიანი, ერთი მიზანი და ერთი მეთოდები. ასე რომ დღეს გასვლა, გარიყვა იმ საბუთით, რომ შენ უფრო სწორი პოზიცია გაქვს, აბსურდია. აქედან გამომდინარე, ასეთებს აწუხებთ საკუთარი ამბიციები. ჩვენი გრძოლა, ოღონ ახალ ფაზაში გადადის, გვიტევენ ყოველი მხრიდან, იმპერია ხრიკებს არ იშლის, გვებრძვის თავისი პლატფორმების მეოხებით- ანტიეროვნული პლატფორმებით, ამავე დროს ანტიეროვნულ კომპანიას აჩაღებს ეროვნული მოძრაობის ნიღბით, თითქოს მას გული სტკივა ჰატარა ერებზე, რომელსაც თურმე ჩაგრავს ქართველობა და გვიქსევს აქეთ. სწორედ ამაზე წავიდა ჩვენი ენერგიის დიდი ნაწილი. იმპერიამ ვერაგულად შემოაცურა საქართველოში ეთნოკრიზისი. ჩვენდა სასახელოდ მთელი ენერგიები მივმართეთ იქით, რომ მთავარი დარტყმები მიგვეყენებინა არა მოტყუებული ხალხისთვის, არამედ კრემლისთვის. ნამდვილად მძიმე ვითარება შეიქმნა. ეს შემოდგომა იქნება გადამწყვეტი. თუ გონივრულად, რისკიანად, ვაჟკაცურად მოვუვლით ახალშობილებს და აქციებს თავის დროზე ჩავატარებთ, გარეთოებიდან გამომდინარე, მაშინ სირთულეებს ისე გავართმევთ თავს, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენი მთავარი მიზნის მისაღწევად, აგრეთვე იმ ეროვნული პრობლემების დადებითად გადაწყვეტისათვის, რაც დატვატეტა 1921 წელმა, მობილიზებულად და ვაჟკაცურად უნდა ვიბრძოლოთ. ამ კონგრესს კვლავ მივესალმები და მოვუწოდებ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, კვლავაც ისე განაგრძოს გრძოლა, როგორც დღემდე იბრძოდა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!



ქართული ერი ეროვნული

1801 წლიდან მოყოლებული ქართული ხალხის თვალში საგნები და მოვლენები ჰკარგავენ თავის ნამდვილ სახელს; რუსეთმა-ერთმორწმუნე ვარო და ეკლესიები დაგვიკეტა, ავტოკეფალია წაგვართვა; თქვენი მფარველი ვარო და საკუთარ ენაზე ღაპარაკი აგვიკრძალა; მეგობარი ვარო და აგვაწიოკა.

ხელმეორედ დაგვიპყრო 1921 წელს და გაგათავისუფლეთო;

იქიდან მოყოლებული სისხლს გვანთხევინებს და მტრებისაგან გიხსენითო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებების ჩანაწერები - 1989

25 მარტს. დილის 7 საათზე სიონის ეკლესიასთან ვარ. დღეს უნდა გაიხსნას დმანისის სიონის ეკლესია. მრევლი. ავტობუსი გავსებულია. ადგილი დავუთმე ახალგაზრდა გოგოს. თვითონ წინ გავედი. იქ ორი მოზიმზიღეც ვნახე.

12 საათისთვის პატარა დმანისში ვარო. ნაქალაქევი. ნანგრევები. ახლადაღდგენილი ეკლესია. უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი. წირვა. ხალხი. სანთლები. სიღუტები თორმეტი მოციქულისა კედლებზე. გალობა. მე ვტკბები ინტერიერის მშვენიერებით, მისი პროპორციებით. გავისეირნე ნანგრევებს შორის. ძველი სასაფლაო. ქართული, სომხური, არაბული წარწერები. უზარმაზარი ქვევრები. ნაადრევი გაზაფხული. დაბერილი კვირტები. ჩამოვედი თბილისში. აქ ხალხმრავალი მიტინგი და დემონსტრაცია ყოფილა აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით.

26 მარტი. არ წავედი არჩევნებზე. ცოტ ცუდად მოვექეცი, მაგრამ ისიც უგუდოდ შეშლია ხოლმე. მთელი დღე ღოგინში ვეგდე.

27 მარტი. სახალხო ფრონტი. ინგილოები- საუბარი მათთან. I საათისთვის მიტინგი უნივერსიტეტში. მიღიციელებმა ზგონი თავი დაგვანებეს. სიტყვით- ირაკლი წერეთელი. კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის პროგრამას. წერილი გორბაჩოვისადმი- აფხაზეთში მონდარი ამბების გამო. გამოდის ზვიად გამსახურდია. ახალგაზრდები- დაგვეს 18 თებერვლის აქცია-აბარებენ კომკავშირის მანდატებს. პრეს-კლუბთან შექმნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. უბარიანთ- კაკო გაქრაძე და პარმენ მარგველაშვილი გავიდნენ დეპუტატებად. გამარჯვება ეროვნული მოძრაობისა.

28 მარტს: ვკითხულობდი. ჩემთან მოდის მეგობარი. ცოლიც დაბრუნდა სამსახურიდან. ვგებულობ- სპი-ში მიდის აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებული მიტინგი. რუსთაველის მეტროდან სპი-მდე ჩავდივარ ფეხით. გზაში მინდოდა შევხვედროდი დემონსტრანტებს. მაგრამ 3 საათზე დაწყებული მიტინგი 7-ზეც კი არ დამთავრებულა. სააქტო დარბაზი ხალხით გავსებული. სცენაზე დისიდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. დერეფანიც- პირველი, მეორე სართულიც სავსეა სტუდენტებით. სიტყვებით-ნათაძე, სუმბათაშვილი, ქორიძე და სხვები. მიიღეს რეზოლუცია. ამის შემდეგ მივდივართ ტელევიზიასთან/ერთად/ და ვთხოულობთ რეზოლუცია გადაიცეს ტელევიზიით. ყველა პასუხისმგებელი პირი გაპარულია. ხვალ 12 საათზე მთავრობის სასახლესთან-

29 მარტს. 12 საათისთვის, პოლიციელები მთავრობის სასახლესთან. ტელეგადაცემებისთვის განკუთვნილი ავტობუსები- ხალხმა შეუტია მიღიციის კორდონს და კიბეებზე ადგილი მოიპოვა. სტუდენტობა. შინდისფერი დროშები. არ მოეწონათ პატიოსანელის სიტყვა- მიტინგი გაგრძელდა 6 საათამდე. შემდეგ წავედით ტელევიზიის შენობისკენ და მოვითხოვეთ გუშინდელი და დღევანდელი რეზოლუციების ეთერში გადაცემა. შინდისფერი დროშები და ახალგაზრდათა სახეები ტელევიზიის შენობის წინ. ბევრნი არიან, კვლავ უარი. შეძახილები. შემდეგ დავეწყეთ და მარშით წავედით ცკ-ს შენობისკენ. ხალხი გვემატებოდა- თანდათან. ალბათ 100 000-იც კი ვიყავით. წინ მიდიოდნენ კოსტავა, გამსახურდია, შაკიაშვილი, ახალგაზრდები/შმაგა/. ლენინის მოედანზე ხალხმა დაგვხვდა ლენინი. ცკ-თან მისასვლელი ვიწრო ქუჩები ავტობუსებით იყო გადახერგილი. ცკ-ს წინა მოედანი ჩაფხუტნი და ჟილეტიანი მილიციელებითაა სავსე. გარღვევა შეუძლებელიც კი იყო. კოსტავამ ხალხი მოაბრუნა-ჩვენთან ბავშვები და ქალები არიანთანაც 14 აპრილს მანიფესტაცია გვაქვს, ჩასატარებელი. ისევ მთავრობის სასახლე/8 საათიდან- 10,30-მდე/. სიტყვებით სხვადასხვა ორატორები. მიჰყავს ირაკლი წერეთელს. ცივა. მთავრობის სასახლის კიბეები მილიციით და ჯარებით სავსე. დემონსტრანტები მანამ არ დაიშალნენ, სანამ მთავრობის მთავრობის წარმომადგენელი მათ არ დაპირდა, რომ მკაცრად გაუსწორდებოდნენ აფხაზ სეპარატისტებს. მთავრობის წევრების აფხაზეთიდან ჩამოსვლის შემდეგ რეზოლუციებს ეთერში გადავცემთო.

1 აპრილი. გავცივდი მიტინგზე. ძალიან ციოდა. მგონი მარდის გუშტის ანთებაა. ვკითხულობ მიშველაძის "ედას". ცოლი გოლნისში წავიდა ბავშვის ჩამოსაყვანადღამით საშინელი ტკივილები- ვკიოდი.

2 აპრილი. ავადა ვარ. ღოგინში ვგორაობ. ყველაფერი მტკივა, მაგრამ, ვერ ვდგები. არადა ხვალ ფეხზე უნდა წამოვდგე. სიცხეც მაქვს. მგონია არასოდეს არ მოვრჩები. მაინც ვკითხულობ რევაზ მიშველაძის "ედას"/მოთხრობებს/. ახლა ჩემი ავადმყოფობა ლალატის, დეზერტირობის ტოლია.

3 აპრილი. ავადა ვარ. საღამოს მაინც წავედი ლექციებზე. უნივერსიტეტი. საღამოს 10 საათისთვის სახალხო ფრონტის შეკრება კინოს სახლში. კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ზურა ჭავჭავაძე და სხვები ყვებიან აფხაზეთში მომხდარ ამბებს. 1 აპრილს ჩატარებულა მიტინგი ლესელიძეში. სოხუმისკენ მომავალ ერთერთ ავტობუსს გუდაუთაში დაუშინეს ქვები. სხვებთან ერთად დაგარაჯდნენ ქალები და ბავშვებიც. დაახლოებით 100 კაცამდე. პირველი ქვა ისროდა მილიციის ფორმიანმა. შემდეგ მას აჰყვა აფსუა მოსახლეობა. დისიდენტები ამ აქციების სულისჩამდგელად აცხადებენ გუდაუთის რაიონის პირველ მდივანს ოგანს.

4 აპრილს. უზარმაზარი მიტინგი სამედიცინო ინსტიტუტთან. მანამ ეტიმთან ვიყავი. წამლები გამოვიწერა. ახალგაზრდები გმობენ აფსუა სეპარატისტების მოქმედებას. გამომსვლელთა შორის არიან- ნოდარ ნათაძე, ზვიად გამსახურდია, შერაზ კოსტავა, გია ჭანტურია, ასევე აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველებიც. ამის შემდეგ შეკრებილები გაემართნენ ჯერ ტელევიზიის შენობისკენ. წინ მიდიოდნენ მედროშენი. ზურაბ ჭავჭავაძის განათებული სახე. შეძახილები-"საქართველო, საქართველო!", "გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!". ლოზუნგები-"აფხაზეთი საქართველოა!". მშვიდობის გამზირით გავედით ლენინის ქუჩაზე. ივნებიდან ხელის ქნევა, მისალმებები. მიაბიჯებდნენ ახალგაზრდები, გოგონები, ბავშვებიც. გავიარეთ უნივერსიტეტი/ვარაზისხევით/. ხალხი გვიერდებოდა. შემდეგ ჭავჭავაძის პროსპექტი და რუსთაველის გამზირიც. უამრავი ხალხი შემოგვიერთდა. ალბათ 50 000 ვიყავით. მთავრობის სასახლესთან მილიცია. ჩატარდა გრანდიოზული მიტინგი.

5 აპრილს. დავიწყე შიმშილობა.

-|-(დასაწყისი I გვერდზე.)-|-

ცალ-ცალკეულად. შეიძლება კი პატივი არ სცე შენ თანამოძმეს, როცა ხედავ, თუ რა ვაჟკაცურად უდგება იგი კბილებამდე შეიარაღებულ მტერს, როგორ ურტყამს ჯოხს რკინის ურჩხულს და როგორ აფრთხობს მას თავისი შეუპოვრობით

როგორ შეიძლება პატივი არ სცე შენ თანამემამულეს, როცა იგი დაუძლურებული, დაინვალიდებულიც კი სიმღერით ამხნევებს საბრძოლოდ შემართულ ვაჟკაცებს. 9 აპრილმა არა მხოლოდ საამბობლო, არამედ საკუთარი თავიც გვაჩუქა. ჩვენ დავინახეთ თუ რა ღალები, ამაყები, პირნათელნი და შეუპოვარნი ვართ.

ის, რომელმაც დადნარა ფერხული ქართველი ვაჟკაცებისა, ტანკები რომ დაეფრთხო, შეუძლებელია გაისარჯოს ბოროტი საქმისთვის.

9 აპრილმა ბოროტის სიძულვილი და ერთმანეთის სიყვარული გვასწავლა. ადამიანი არ არსებობს სევდის, დარდის გარეშე. 9 აპრილის სევდამ გამჭრიახობა და ფიქრი შეგვმატა.

9 აპრილის გლოვამ, 9 აპრილის ყვავილებმა მარადისობისკენ გაუხსნა გზა როგორც მაშინ დაცემულებს, ასევე მთელ საქართველოს.

უმანკო სისხლმა უმანკოებაზე ჩაგვაფიქრა.

უმანკო სისხლმა ღმერთისკენ მიგვახედა.

უმანკო სისხლმა და ჩვენმა ცრემლმა ერთი ფიქრით, ერთი სიყვარულით, ერთი ცეცხლით აგვანთო.

9 აპრილს კიდევ ერთი უბრწყინვალესი ფურცელი ჩაიწერა ქართველი ერის გმირულ მატიანეში.

9 აპრილმა გაკვალა გზა მომავლისკენ და დღესაც იმ ტკივილიანი, ფიქრიანი, ცეცხლოვანი ღლით მივდივართ ბრწყინვალე მომავლისკენ.

ბადრი გუგუშვილი. 1990 წ.



მოსმენილი ლეგენდიდან

წელი	სტილი ძველი	სტილი ახალი	წელი	სტილი ძველი	სტილი ახალი
1989	აპრ. 17	„ 30	1994	აპრ. 18	მაისის 1
1990	„ 2	„ 15	1995	„ 10	აპრ. 23
1991	„ 25	„ 7	1996	„ 1	„ 14
1992	აპრ. 13	„ 26	1997	„ 14	„ 27
1993	აპრ. 5	„ 18	1998	„ 6	„ 16
			1999	მარტი 29	მაისი 11

მამაო ჩვენო

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

ტერან კოსტავას

მარტულია და მოწამეთა,
ჩაგრულია და მაინც მხნეთა,
ცას ვარსკვლავი დასდგომია
ცის და მიწის დასახედად!
რაინდია და ქედუხრელია,
დევნილია და კვლავაც ქვეყნია
ცად სამრეკლო ატყორცნილა
მჯობნი ყოვლთა ხელთუქმნელთა!
ცრემლის ღრუბელს დაუკმავს
ცა- ღვთის კრავთა საძოვარი!
წმინდა შუბლზე ამბორებად
ფეხზე დგება მაცხოვარი!

იმედი ჯაბუა

ჩვენთ გაგეთის მკითხველების საყურადღებოდ

გილოცავთ ორი უმშვენიერესი წიგნის დაბადებას: ეს წიგნებია- ვალერიან გამყრელიძეს „ბოლიის წაწარმოებების კრებული და იულიან ფოლკნერის " ალბალამი! ალბალამ!" /თარგმნა ბ. კიკაძემ/ ? რა თქმა უნდა, ასეთი წიგნები არ უნდა გაუშვათ ხელიდან? ღმერთო, შენ გაამდიდრე ქართული ლიტერატურა!

ოთარ ფლიძე

ძველქართული ყუნწა

თამარის დროშები გაუფლიან?
გაისმის ყიყინწ ძველქართული;
ყოფილდეს გასისხლულ აპრილშია
რუსთველის პროსპექტზე ფეხადგმული,
გოგისთვის წალმივით საშიშია,
და ჩემთვის ფეიქრება ყვავილებად-
ახალი თაობა შემართული,
რომელიც დიდ ერად ყალიბდება.

მკითხველო! გაგეთში გადახდილი საფასური ჩვენი საძმისადმი შემოწირულობად გეთვლებათ. მადლობთ შემოწირულობისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ!

გელა კიკოლაშვილი

[redacted]

ალიკო გონგაძეს
როლანდ აფციაურს

ფრიალეთზე ადის ნისლი
ზზე ატმების თოვლშია
აქ რომ იდგა სისხლი შენი
ხმალი არცროს მოამივა?
ცისარტყელა ლრუბლის დამლა
რა ქარებმა მოამშვიდა
რამ აანთო გალმა მთვარე
ჩვა ციხე ვინ მოამშვიდა
ან ალგეთზე მგლის ღეკვები
რა ოხრობამ მოამშვიდა?!!

არაოფიციალურ გამოცემათა საყურადღებოდ!

თავისუფალ შემოქმედთა საძმო "იახსარი" შემოდის წინადადებით, რომ საქართველოში შეიქმნას არაოფიციალურ გამოცემათა საკოორდინაციო ცენტრი.

რედაქტორი ბადრი გუგუშვილი
პასუხისმგებელი მდივანი- დოდო რეხვიაშვილი
თავისუფალ შემოქმედთა საძმო "იახსარი"
იკრიბება ტექნიკური ბიბლიოთეკის უკან, "თეთრ გალერეასთან". კოსტავას/ყოფილი ლენინის/-47. მასალები შეიძლება დაუტოვოთ ინგა რეხვიაშვილს. შემოსული მასალები ავტორებს შეიძლება არ დაუბრუნდეთ.
მხატვრები- გაქრო კოპაძე და ბადრი გუგუშვილი.
თავისუფალ შემოქმედთა საძმოს "იახსარის" მთავარი სამუშაო ჯგუფის ორგანიზატორია ბადრი გუგუშვილი.